31 დეკემბერი 2017	-	(1,186,962)	(406,881)	(1,175,797)	(169,562)	(2,939,202)
ცვეთა	-	(156,903)	(83,556)	(321,062)	(122,402)	(683,923)
შეწყვეტილი ოპერაციები	-	1,135,578	490,437	1,089,961	93,848	2,809,824
გასვლა	-	-	-	43,626	-	43,626
31 დეკემბერი 2018	-	(208,287)	-	(363,272)	(198,116)	(769,675)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	678,748	5,430,211	657,569	2,097,188	507,606	9,371,322
31 დეკემბერი 2018	80,972	434,577	-	444,725	269,460	1,229,734

*2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობების 28% გაცემული იყო იჯარით, კერძოდ: ვაჟა-ფშაველას 83/11 - 3,047 კვ. მ. 5,861.65 კვ.მ.-დან, კალოუზნის 12 - 72 კვ.მ. 2,544.46 კვ.მ.-დან და გობრონიძის 27 - 2,178 კვ.მ. 10,667.19 კვ.მ.-დან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აღარ გააჩნია მნიშვნელოვანი იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებები, რადგან შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად ფლობს მხოლოდ შენობას და მიწას კალოუზნის ქუჩაზე, რომლის უმნიშვნელო ნაწილია გაქირავებული.

დამატებითი ინფორმაცია შეწყვეტილი ოპერაციის შესახებ გაშიფრულია მე-5 შენიშვნაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწები და შენობები წარმოადგენდა აღებული სესხის უზრუნველყოფას (იხ. შენიშვნა 10).

შპს მედიონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან:		
საყოველთაო დაზღვევის პროგრამიდან	469,784	1,393,282
სადაზღვევო კომპანიებთან	144,477	35,768
სამედიცინო ორგანიზაციებთან	67,872	77,931
მოთხოვნები სახელმწიფო სტრუქტურებიდან	-	225,348
მოთხოვნები ფიზიკურ პირებთან	-	31,094
საიჯარო მოთხოვნები	5,823	313,149
სხვა მოთხოვნები	14,329	65,572
საექვო ვალების რეზერვი	(93,979)	(32,381)
	608,306	2,109,763
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	11,566	222,048
საექვო ვალების რეზერვი	(8,355)	(8,355)
	611,517	2,323,456

რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფმა გადასცა 2,945,273 ლარის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შპს ბილდექსს, დამატებით ინფორმაცია განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	დღეების ვადაგადაცილება				სულ
		1-60	61-120	121-360	>360	
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	1%	3%	10%	50%	100%	
2018 წლის 31 დეკემბრისთვის						
საბალანსო ღირებულება	208,583	206,560	206,980	30,328	49,834	702,285
გაუფასურებამდე						
გაუფასურების რეზერვი	(2,086)	(6,197)	(20,698)	(15,164)	(49,834)	(93,979)

ფინანსურ აქტივებს გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია წარდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვრისთვის	(32,381)	-
ზრდა	(61,598)	(32,381)
31 დეკემბრისთვის	(93,979)	(32,381)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2018	2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	96,994	354,642
ნაღდი ფული	3,348	24,624
	100,342	379,266

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფმა გადასცა 228,189 ლარის ფული და ფულის ეკვივალენტები შპს ბილდექსს, დამატებით ინფორმაცია განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

9. მიღებული სესხები

გრძელვადიანი ნაწილი	დაფარვის ვადა	2018	2017
ბანკები	4-დეკ-24	-	2,571,802
არაფინანსური ინსტიტუტები	30-იან-22	144,963	-
სხვა		-	158,193
		144,963	2,729,995
მოკლევადიანი ნაწილი			
ბანკები	4-დეკ-24	-	541,981
ფიზიკური პირები	მოთხოვნამდე	-	5,221,220
არაფინანსური ინსტიტუტები	მოთხოვნამდე	84,878	48,612
სხვა		-	67,371
		84,878	5,879,184
სულ მიღებული სესხები		229,841	8,609,179

რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფმა გადასცა 8,739,758 ლარის სესხის ვალდებულება შპს ბილდექსს, დამატებითი ინფორმაცია განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირებისგან და ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილი იყო ძირითადი საშუალებებით (დეტალები განმარტებულია მე-6 შენიშვნაში).

სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. სესხები შეფასებულია რეალური ღირებულების მე-3 დონით. მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	8,609,179	8,120,220
ფულადი ოპერაციები:		
სესხის მიღება	850,053	556,129
სესხის ძირის დაფარვა	(423,471)	(841,727)
პროცენტის გადახდა	(136,048)	(342,719)
არაფულადი ოპერაციები:		
სესხის გადაწერა რეორგანიზაციის შედეგად	(8,739,758)	-
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	295,999	736,434
გადაფასება	(226,113)	380,842
ნაშთი პერიოდის ბოლოს	229,841	8,609,179

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	534,590	1,078,570
გადასახდელი ხელფასები	50,221	429,256
სხვა	12,087	30,846
	596,898	1,538,672
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	15,731	48,872
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	612,629	1,587,544

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფმა გადასცა 2,190,877 ლარის სავაჭრო და სხვა ვალდებულება შპს ბილდექსს, დამატებითი ინფორმაცია განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

11. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 1 იანვრიდან ჯგუფის წევრებმა უნდა გადაიხადონ გადასახადი ერთიან საგადასახადო კოდექსით გადისახადისთვის. შედეგად, ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ნეტო ღირებულებით ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების სახით. ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული რისკები და შექმნა ანარიცხი ამ რისკებთან დაკავშირებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 360,000 ლარის ოდენობით.

საქართველოს საგადასახადო ორგანომ დედა კომპანიის საგადასახადო შემოწმება განახორციელა 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე. 2018 წლის 12 დეკემბერს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე დედა კომპანიას დაეკისრა 358,472 ლარის გადასახადი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი რეზერვი საკმარისი აღმოჩნდა რომ დამატებითი ხარჯები აღარ ელიარებინა ჯგუფს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფმა გადასცა 121,855 ლარის წინასწარ გადახდილი გადასახადები და 300,594 ლარის საგადასახადო ვალდებულება შპს ბილდექსს, დამატებით ინფორმაცია განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

12. ამონაგები

	2018	2017
შემოსავალი მიღებული:		
ფიზიკური პირებისგან	2,711,493	3,553,132
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან	2,015,376	5,125,015
სადაზღვევო კომპანიებისგან	351,458	130,379
სამედიცინო ორგანიზაციებისგან	72,792	438,948
პროდუქციის რეალიზაციიდან	-	119,770
სხვა	10,160	66,672
	5,161,279	9,433,916

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, ჯგუფის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს.

ჯგუფს გაწეული მომსახურებებიდან არ წარმოექმნება სახელშეკრულებო აქტივი ან ვალდებულება.

ჯგუფი დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების განაწილებული გარიგების ფასს, რაც ძირითადად ეხება საყოველთაო დაზღვევისგან კაპიტაციის თანხების ანაზღაურებას, არ გაამჟღავნებს, რადგანაც ჯგუფი ამ ნაწილში ამონაგებს აღიარებს 316 პუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს შემდეგს - „გამარტივებული მიდგომის სახით, თუ საწარმოს მომხმარებლისგან ანაზღაურების მიღების უფლება აქვს ისეთი ოდენობით, რაც უშუალოდ შეესაბამება მოცემული თარიღისთვის საწარმოს მიერ დასრულებული სამუშაოს ღირებულებას მომხმარებლისთვის (მაგალითად, მომსახურების ხელშეკრულება, როდესაც საწარმო გაწეული მომსახურების თითოეული საათისთვის მომხმარებელს ანგარიშს წარუდგენს ფიქსირებულ თანხის გადახდაზე), საწარმოს შეუძლია ამონაგების აღიარება იმავე ოდენობით, რა თანხის ანგარიშის გამოწერის უფლებაც აქვს.“ - შედეგად ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის 121 (ა)(ბ) პუნქტებში მოცემულ შეღავათს და არ განმარტავს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებს.

13. სხვა შემოსავლები

	2018	2017
შემოსავალი მედიკამენტების პრეზენტაციიდან	192,301	128,625
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	39,342	46,941
სხვა	-	13,037
	231,643	188,603

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
იჯარები	(285,944)	(131,180)
კომუნალურები	(174,720)	(341,646)
საოფისე ხარჯები და მცირეფასიანი ინვენტარი	(133,140)	(219,067)
საგადასახდო ხარჯები, გარდა მოგების გადასახადისა	(105,398)	(174,844)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(90,554)	(138,376)
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	(61,598)	(40,736)
დასუფთავების ხარჯები	(39,224)	(52,879)
რემონტები	(23,978)	(48,126)
საკომუნიკაციო ხარჯები	(17,575)	(43,659)
დაცვის მომსახურება	-	(97,619)
ჯარიმები და საურავები	-	(16,475)
სხვა	(80,853)	(192,767)
	(1,012,984)	(1,497,374)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებლები	საერთო კონტროლის ქვეშ	მეწილეთა ოჯახის წევრები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიღებული სესხები	-	20,000	-
გაცემული სესხები	-	47,043	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	87,131	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	380,493	-
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
სხვა შემოსავალი	-	383,665	-
საიჯარო შემოსავლები	-	104,047	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	17,891	-
საპროცენტო ხარჯი	(23,436)	(4,266)	(133,597)
საპროცენტო შემოსავალი	-	3,078	-

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებლები	საერთო კონტროლს ქვეშ	მეწილეთა ოჯახის წევრები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიღებული სესხები	963,054	48,612	4,258,166
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
საპროცენტო ხარჯი	(49,837)	(4,707)	(329,455)

უმაღლესი მმართველი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
- თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	164,969	231,824

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა.

იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის. არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს მშობელი კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

ამონაგები

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე კონტროლს მოიპოვებს მომხმარებელი. ფასს 15-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა ჯგუფის 2018 წლის შემოსავლებზე. ჯგუფმა ფასს 15-ის დანერგვისთვის აირჩია კუმულაციური ეფექტის მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს წინა წლების რიცხვების გადაანგარიშებას.

ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებიდან ყველა შემთხვევაში აღიარდება დროთა განმავლობაში შედეგების მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ძირითად შემოსავალს იღებს ამბულატორიული მომსახურების გაწევიდან.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო ჯგუფში გაწერილია სადაზღვევო ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. ჯგუფი არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების ზარალები მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში ჯგუფი ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ ჯგუფმა განსაზღვროს მოთხოვნის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმომოხილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც ჯგუფი იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც ჯგუფი განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

დროთა განმავლობაში ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობებთან დაკავშირებით, ვისთანაც ჯგუფს ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები ხელს უწყობს გადახდის დროულობას და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ჯგუფი არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იხეგრება ან იქვითება. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და

16. ძირითადი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	<u>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</u>
შენობა-ნაგებობები	20
აღჭურვილობა და დანადგარები	3 - 20
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	იჯარით სარგებლობის პერიოდი
სხვა	3 - 5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას აკუმულირებულ ამორტიზაციას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს შეზღუდული მომსახურების ვადა და მათზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლს პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის წევრების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება თითოეული კომპანიის წესდებით. კომპანიების წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძინევი ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და: ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.

საწარმო შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას და ფულად ნაკადებს წარადგენს განგრძობითი ოპერაციებისგან მიღებული შედეგებისგან განცალკევებით.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და: ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო. საწარმო შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას და ფულად ნაკადებს წარადგენს განგრძობითი ოპერაციებისგან მიღებული შედეგებისგან განცალკევებით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის ზოგადი მიმოხილვა

შპს „მედისონ ჰოლდინგი“ წარმოადგენს კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობა შემოფარგლება პირველადი ჯანდაცვით და ბიზნეს ფართების გაქირავებით (ფართები გაქირავებულია სამედიცინო პროფილის კომპანიებზე).

2018 წლის 30 მარტს პარტნორთა გადაწყვეტილების საფუძველზე გადაწყდა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შპს მედისონ ჰოლდინგს გამოეყოფა ცალკე კომპანია შპს „ბილდექსი“, რომელსაც შპს მედისონ ჰოლდინგისგან გადაეცა ყველა შვილობილი კომპანიის წილი და ასევე აქტივები და ვალდებულებები რომლებიც არ იყო დაკავშირებული სამედიცინო პროფილთან.

შესაბამისად, შპს მედისონ ჰოლდინგი გააგრძელებს ფუნქციონირებას მხოლოდ სამედიცინო მიმართულებით. რეორგანიზაცია დასრულდა 2018 წლის 24 მაისს.

შედეგად, შემდგომი მსჯელობები მმართველობის ანგარიშგებაზე იქნება მხოლოდ მედისონზე და არ იქნება მიმოხილული შვილობილი კომპანიების განვითარების გეგმები და ფინანსური მაჩვენებლები. კომპანიაში 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით დასაქმებული (შრომითი კონტრაქტი, მოსახურების კონტრაქტი) იყო 350 ადამიანი.

კომპანიას გააჩნია ოპერირების 7 წლიანი გამოცდილება. იგი უწევს პაციენტებს მომსახურებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა:

- საოჯახო მედიცინა;
- გინეკოლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- კარდიოლოგია;
- ონკოლოგია;
- პედიატრია;
- ტრავმატოლოგია;
- უროლოგია;
- ინსტრუმენტული და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
- სტომატოლოგია;
- და სხვა

სამედიცინო სერვისების ძირითადი დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო თავისი შესაბამისი პროგრამებით - შემოსავლების 39% (ვემსახურებით 83,722 ბენეფიციარს), სადაზღვეო კომპანიები - 7%, სხვა კლინიკები - 2% და კერძო ფიზიკური პირები - 52%.

აქვე მოგახსენებთ, რომ კომპანიას 2018 წლის განმავლობაში შეასრულა ჯამურად 5,179,809 ლარის ღირებულების, 431,821 რაოდენობის სერვისი.

კომპანიის სტრატეგიული გეგმები

სამედიცინო მიმართულებით იგეგმება, ახალი მაღალკვალიფიციური მედპერსონალის დამატება, სერვისების გამრავალფეროვნება (განსაკუთრების, საოჯახო მედიცინის და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის მიმართულებით) და სამედიცინო ინვენტარის ნაწილობრივი განახლება.

იგეგმება, სამედიცინო პერსონალისთვის საბონუსე სისტემის დანერგვა, რითაც მნიშვნელოვანს მოიმატებს მედპერსონალის მოტივაციას.

იგეგმება ახალი ფილიალის დამატება, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის განვითარების და ბაზარზე პოზიციონირების შესახებ

კომპანიამ 2018 წელს დაიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის მიზანია, კომპანიის შემოსავლების და მოგების გაზრდა, შემოსავლების დივერსიფიკაცია და ბაზარზე პოზიციის გამყარება. კომპანიამ, დაიწყო მნიშვნელოვანი PR ღონისძიებები, კერძოდ, კონფერენციები, გაცნობითი შეხვედრები რიგ უმაღლეს სასწავლებლებში. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც „კარდაკარ“-ის პრინციპით აცნობდნენ მოსახლეობას შპს მედისონ ჰოლდინგის სერვისების და უპირატესობების შესახებ.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2018 წლის 31 დეკემბერი

დავიწყეთ კომპანიის ოფიციალური ინტერნეტ სოციალური გვერდების საშუალებით მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო ინფორმაციების მიწოდება საინფორმაციო დოკუმენტების და მედიცინის სპეციალისტებთან ლაივ ჩართვების სახით.

სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესების კუთხით გადაიდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, კერძოდ, შეიქმნა სამედიცინო საბჭო და სამედიცინო კომიტეტი. სამედიცინო საბჭოზე ხდება რთული სამედიცინო შემთხვევების განხილვა-განალიზება, ასევე სამედიცინო პროცესების/პროცედურების დამტკიცება-შემუშავება. პერმანენტულად ტარდება მედპერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები შიდა რესურსებით.

სამედიცინო კომიტეტზე ხდება სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებული შეცდომების განხილვა, ამ პროცესებში ჩართულია, როგორც კლინიკის მაღალკვალიფიციური და ავტორიტეტული მედპერსონალი.

ინფორმაცია კვლევების შესახებ

2018 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევებში.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია ოპერირებს 4 ფილიალით (რომლიდანაც მხოლოდ კალოუბნის ქუჩაზე არსებული ფილიალი არის განთავსებული კომპანიის საკუთრებაში არსებულ ფართში):

- **ფილიალი 1 (ამბულატორია)** - მისამართი: თბილისი, ალ. გობრონიძის 27, დაკავებული ფართი 2,688 კვ.მ. ფილიალზე მიბმულია 29,492 ბენეფიციარი (საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში). ფილიალი აგენერირებს ჯამური სამედიცინო შემოსავლების 30 %-ს. ფილიალში დასაქმებული 103 თანამშრომელი;
- **ფილიალი 2 (ამბულატორია)** - მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 83/11, დაკავებული ფართი 1,229 კვ.მ. ფილიალზე მიბმულია 25,435 ბენეფიციარი (საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში). ფილიალი აგენერირებს ჯამური სამედიცინო შემოსავლების 33 %-ს. ფილიალში დასაქმებული 91 თანამშრომელი;
- **ფილიალი 3 (ამბულატორია)** - მისამართი: თბილისი, კალოუბნის ქუჩა 12, დაკავებული ფართი 1,616 კვ.მ. ფილიალზე მიბმულია 28,795 ბენეფიციარი (საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში). ფილიალი აგენერირებს ჯამური სამედიცინო შემოსავლების 33 %-ს. ფილიალში დასაქმებული 108 თანამშრომელი;
- **ფილიალი 4 (სტომატოლოგიური მიმართულება)** - მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 83/11, დაკავებული ფართი 175 კვ.მ. ფილიალი აგენერირებს ჯამური სამედიცინო შემოსავლების 4 %-ს. ფილიალში დასაქმებულია 11 თანამშრომელი.

კომპანიის მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორების შესახებ

მთავარი ფინანსური ინდიკატორების ანალიზი

#	ინდიკატორის დასახელება	2018	2017	შედეგის ახსნა
1	სამედიცინო შემოსავლები	5,179,809	4,897,872	კომპანიას დაგემილი ქონდა სამედიცინო შემოსავლების 5 %-იანი მატება. შედეგი მიღწეულია. მთავარი ფაქტორია სამედიცინო მენეჯმენტის ფილიალების მენეჯმენტის დეტალებზე ფოკუსირების გაზრდა
2	საოპერაციო მოგება (ზარალი)	(118,815)	1,866,553	საოპერაციო მოგება/(ზარალი)-ს ასეთი უარყოფითი დინამიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია იჯარიდან შემოსავლების შემცირება, რომელიც გამოიწვია კომპანიის რეორგანიზაციამ.
3	წმინდა მოგება	608,178	1,258,068	მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია საიჯარო შემოსავლების შემცირება

მთავარი არაფინანსური ინდიკატორების ანალიზი

#	ინდიკატორის დასახელება	2018	2017	შედეგის ახსნა
1	ჩატარებული სამედიცინო სერვისების რაოდენობა	431,821	399,095	სერვისების რაოდენობა გაზრდილია 32 726 ერთულით.
2	ბენეფიციარების რაოდენობა	83,722	96,181	2018 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლეთა ბაზების ოპტიმიზაციას, რის შედეგადაც შემცირდა ბენეფიციარების რაოდენობა.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

კომპანიის მთავარი რისკები, მოულოდნელობები და მათი პრევენციის პოლიტიკა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე: საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის პოლიტიკა ამ რისკების მართვასთან დაკავშირებით და ამ რისკებთან დაკავშირებული შესაძლო შედეგები, განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

#	ძირითადი რისკები და მოულოდნელი სიტუაციების ახსნა	რისკების მართვა
1	საყოველთაო პროგრამის არსებული ფორმატის ცვლილება ან საერთოდ გაუქმება.	კომპანია მუდმივად ისწრაფვის შემოსავლების არასახელმწიფო წყაროების წილის მაქსიმალურად ზრდისკენ. კომპანია ცდილობს სადაზღვეო სექტორის პოტენციალის უფრო მეტად გამოყენებას. შედეგად 2018 წელს გაფორმდა მსხვილი კონტრაქტი ერთ-ერთ სადაზღვეო კომპანიასთან, რომელიც დამატებით კომპანიას მოუტანს 15-20 ათასამდე შემოსავალს მინიმუმ 20%-იანი მოგების მარჟით. ასევე მიმდინარეობს პაციენტი ფიზიკური პირების მოზიდვის ღონისძიებები, რომელიც აღწერილი ზედა თავებში. აქვე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საყოველთაო პროგრამის არსებული ფორმატის ცვლილების ან საერთოდ გაუქმების შეთხვევაში, კომპანიის შემოსავლები განიცდის არსებით დაცემას რაც გამოიწვევს თანამშრომელთა რადიკალურ შემცირებას და მთლიანად იქნება გადასახედი ბიზნესის არსებული ფორმატი.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2018 წლის 31 დეკემბერი

2	პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუქტურა - საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, განიცდის მუდმივ გარდაქმნებს, რაც გარკვეულ არასტაბილურ გარემოს ქმნის მოკლევადიან პერსპექტივაში და გავლენას ახდენს კომპანიის სტრატეგიულ გეგმებზე. მაგალითად, სამედიცინო სფერო წარმოადგენს მაღალი რეგულაციების მქონე დარგს, შესაბამისად არსებითად ხშირი ცვლილებები რეგულაციებში მნიშვნელოვან კორექტირებებს ითხოვს კომპანიის გეგმებში.	კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს თვალი ადევნოს ქვეყნის მაკრო და მიკრო ეკონომიკურ მაჩვენებლებს, პოლიტიკურ ტენდენციებს და საკანონმდებლო ცვლილებებს. ამისთვის მას დამატებით დაქირავებული ჰყავს კვალიფიციური აუდიტორული და იურიდიული კომპანიები
---	---	--

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 12 დეკემბერი შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ცოტნე შეროზია

ფინანსური მენეჯერი _____ მარიამ ვერძაძე

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება


საქმიანობის მიმოხილვა

2018 წლის 31 დეკემბერი

2	პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუქტურა - საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, განიცდის მუდმივ გარდაქმნებს, რაც გარკვეულ არასტაბილურ გარემოს ქმნის მოკლევადიან პერსპექტივაში და გავლენას ახდენს კომპანიის სტრატეგიულ გეგმებზე. მაგალითად, სამედიცინო სფერო წარმოადგენს მაღალი რეგულაციების მქონე დარგს, შესაბამისად არსებითად ხშირი ცვლილებები რეგულაციებში მნიშვნელოვან კორექტირებებს ითხოვს კომპანიის გეგმებში.	კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს თვალი ადევნოს ქვეყნის მაკრო და მიკრო ეკონომიკურ მაჩვენებლებს, პოლიტიკურ ტენდენციებს და საკანონმდებლო ცვლილებებს. ამისთვის მას დამატებით დაქირავებული ჰყავს კვალიფიციური აუდიტორული და იურიდიული კომპანიები
---	---	--

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 12 დეკემბერი შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ცოტნე შეროზია

ფინანსური მენეჯერი



მარიამ ვერძაძე